

ეშმაკის მითრახი

„ეშმაკის მითრახი“ დღენი დათვლილია! კიდევ ერთი კვირა და იმისი უკანასკნელი წუთიც დაჰკრავს! ახალი წლიდან ჟურნალი აღარ გამოვა.

მომენტი ერთობ ტრადიკულია.

რა მოხდა?

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენ უკვე მივალწიეთ ჩვენს იდეალს, ვინაიდან რუსეთის მთელ თვალუწვდენელ სივრცეზე გამეფებულია ჯოჯოხეთი და ამასთვის შეგვეძლოს წარმოთქმა: „აწ განუსვენე... და სხვა. არა. ჯოჯოხეთს ჩვენ კიდევ უკეთესს მოველით.

შეიძლება ეს სამწუხარო ამბავი ჟურნალის თანამშრომელთა გაგულვრილებით ახსნათ. მართალია, ეს გულვრილობა ერთობ საგრძნობი შეიქნა რედაქციის ხელმძღვანელისათვის, მართალია ისიც, რომ ამ გარემოებას უმთავრესი ვადამწყვეტი ხასიათიც შეიძლება მიეცეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა საბედისწერო.

აქ საარაკო სიძვირებედაც შეიძლება სიტყვა ჩამოვავდეთ. მარტო ცარიელა ქალაქი, რომელზედაც „ეშმაკის მითრახი“ იბეჭდება ფურცელი 20 კაბ. ვახდა. ცარიელი ქალაქი ერთი აბაზი! რაღა უნდა დაჯდეს მაშინ დახატული, დაწერილი, აწყობილი და დაბეჭდილი ნომერი ჟურნალისა? მართალია, ჭკვიანი ხალხის თქმისა არ იყოს, ერთი მსხალი, გინდ ერთი ვაშლი ერთი მანეთი და ზოგჯერ ვაცილებით მეტიც ღირს, მაგრამ ვაშლი საქმელია და „ეშმაკის მითრახი“ ხომ არც იქმევა, არც ისმევა და არც ტანზე ჩაიკმის.

ცალ-ცალკე თითოეული მიზეზთაგანი თითქო არაფერია, მაგრამ ყველა ერთად აკინძული ისეთ გარემოებასა ჰქმნის, რომლის წინაშე უნდა დაეკო მითრახი და ელოდო უკეთეს მომავალს.

ჩვენც ასე ვადასწყვიტეთ.

რედაქტორი: ეშმაკი.

- გამომცემელი: {
- ა. ბუკია
 - ვ. ლომთათიძე
 - ბ. თავართქილაძე.



ჩვენი ოცნება.

მე და ჩემი მეგობარი, გერასიმე, პურის შეხებებ ერთობ ხელ ვაშლილი ვიყავით.

და ვანა მარტო პურის შესახებ? არა. ჩვენი ყოველდღიური სადილი მთელს კალექციას წარმოადგენდა სხვა და სხვა გვარი საქმელებისას.

მაგრამ პური განსაკუთრებით ყურადღების ღირსია.

მე დღეში მჭიროდა საშუალო რაოდენობით 2-3 გირვანქა პური, ხოლო გერასიმეს ცოტა მეტი, ასე 6-8 გირვანქამდე.

დილით გვამდიოთ ოთხ გირვანქას, სადილით ხუთს და საღამოს კიდევ სამს, თუ რასაკვირველია ბოტანიკურ ბაღში, ან სხვაგან სადმე მოგზაურობით შიდა გაღვიძებული არა გვქონდა.

ჩვენი ბინის გვერდით მოვაჭრე მეთორნე რაქველებს დარწმუნებული ვარ ჩვენისთანა მუშტარი ბევრი არა ჰყოლია და არც მიკვირს ჩვენს დანახვას მუდამ ბედნიერი ღიმილით რისთვის ხედებოდა.

საქირა აქვე აღინიშნოს, რომ, როგორც მე, ისე გერასიმეც, მუდამ ვედღუროდით ჩვენს გამამწარებელ კუჭებს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რარიგ გამიზნებულნი და განებვიგრებული ისინი ჩვენა გვეყვანდა.

— იცი, ცოტა კუჭი მტკიავა... იტყუადა ხოლმე გერასიმე ნაღვლიანი კილოთი სადილის შემდეგ.

— ნეტა რა მიზეზი უნდა იყოს?

— მე მგონია პურის ბრალია. საკმარისია ერთი ფინჩხა შავი პური ჩამცდეს, რომ მაშინვე კუჭს ამიჯანყებს.

— მერე სად ნახე შავი პური?

— ალბათ ერია ცოტა. არ შეიძლება რომ არ შემატყობინოს, თუნდაც ერთი ციკვა ერიოს.

ასე ვიყავით გამწარებული ხან მე და ხან კიდევ ის.

სწორეთ ამ ხანებში დაიწყო სერთაშორისო ომი. სიმართლე მოგახსენოთ, იმდენათ ვიყავით აღღვებულნი ამ გარემით, რომ ახლა არც კი მახსოვს როგორ ვავტარებთ ჩვენ სურსათის მხრივ პირველი წელი ომისა.

მარტო

მახსოვს მხოლოდ ერთი მარტო მარტო. გერასიმე აღღვებულნი შემოვიდა ჩემს ოთახში და ღრმა მწუხარების გამოხატველი ხმით განაცხადა:

— იცი, ვერსად თეთრი პური ვერ ვიშოვე. მთელი ეს უბნები მოვიარე და აღარავის არა აქვს. თავზარი დამეცა და ძლივს წაველულდულე: — ნუ თუ, აღარ არის...

— ცოტა მოწითალო კი არის, მაგრამ... — ახლა მოწითალო პური მაქამე, ესლა მაკლია სწორეთ!

— კარგი, მაგრამ უჭმელი ხომ ვერ დაერჩებოთ; წავალ ისევ, მიტხარ რამდენი ვიყიდა.

— ბევრი ნუ გინდა, იყიდე ათი გირვანქა. ხვალ ალბათ ისევ თეთრი პური იქნება.

დიდის გაბედულებით მოვკიდეთ ხელი ჩვენს წმინდა მოვალეობას და თითოეულ მოზრდილ ლუქმასთან ერთად გულის ფანტქალით ვადვენებდით ყურადღებას კუჭის მდგომარებას. საწამლავს უფრო გაბედულათ დაღვევს ადამიანი, ვიდრე ჩვენ ამ წითელ პურს შევექცეოდით.

— ეე! წამოიძახა გერასიმემ, როცა მეოთხე გირვანქა თბილი მოწითალო ნაჭრისა ყუყუბე მიაცუნა.

— რა ამბავია? ვკითხე მე შიშითა და გულის ფანტქალით.

— მუცელმა დაიყურყულა!

— დაიყურყულა? იქნებ მოგეყურა კაცო?

— მომეყურა რა, ერთხელ იყო თუ?

— ლმერთო ჩემო, რაღა გვეშველება ეს თუ ეგრე გაგრძელდა?

— რას ამბობ კაცო? ღმერთმა დაიფაროს... ომი ამ ერთ თვეში უთუოდ ვათავდება.

— ომის მეორე წელი მიწურულში იდგა. სურსათ სანოვავე თითქო გაკვირდა. ჩემი ნაცნობები ყველანი სულელებათ სთვლიდენ თავს, რომ საქირა ნივთები შარშან არ იყიდეს და ახლა ორიწილი ფასის მიცემა უხებნათ. ამ საერთო უქმყოფილებით გამოფხიზლებულებმა, მე და გერასიმემ ერთი ჰაჩკა ლაპშინის სპიჩა შევიძინეთ და სტოლის უჯრამი შევიწინეთ.

— კაცო გავონილა ასეთი ამბავი? — რა მოხდა? ვაარღვის?



— არა, პურის შესახებ გეუბნები. აბა ერთი შეხედე არსა ჰგავს.. ამასაც წითელ პურს ეძახიან!

— სახელს რა მნიშვნელობა აქვს. მართალი გათხრა წითელი არ დაერქმევა, მაგრამ არც შავი შეგვიძლია ვუწოდოთ. რამდენი იყიდე.

— ცოტა.

— მაინც?

— ექვსი გირვანქა.

— ახირებულაია ლმერთმანი, თუ კუჭის ტკივილს გადავუტრიათ შიმშილი მაინც მოგვკლავს. ამაზე ითქმის „წიხი წყალი, უკან მეწყერიო.“

— გუშინ მთელი დღე გულის ფანტკალი მქონდა გამიმხილა გერასიმენ.

— გულის რატომ?

— როგორ თუ რატომ: გულს კუჭთან მჭიდრო კავშირი აქვს.

— აჰა!

— მეტი გზა არ არის სადილი სახლში უნდა ვაკეთოთ.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— რა მოხდა და ათშაურონიანი სადილი ოთხი აბაზი გახადეს.

— ვაკეთოთ მე საწინამდევო არაფერი მაქვს.

ჩვენ დავიწყეთ სახლში სადილის კეთება. ენა ვერ გამოსთქვამს იმ ვასატირს, რაც ჩვენ ერთი ზამთრის განმავლობაში გამოვიარეთ. შევიძინეთ ყველაფერი სიოჯახო ნივთიულობა და მასთან ერთად გაჩეილადის მიერ გამოცემული სამხარეთლო წიგნი.

ჩვენს ღირსებას უმთავრესად ის შეიღვენს, რომ ბრმად არაფერს არ მივსდევთ, ავტორიტეტი არავისი არა გვწამს, მით უმეტეს გზაგურეულებისა და საკუთარის გზით, ჩვენი გემოვნების მიხედვით ვიწყეთ საქმელების კეთება. „უმშაკის მათრახის“ მკითხველებს უკვე მოგხსენებთ, ჩვენ მიერ „ყაუ-რმის“ მომზადების ამბავი და სხვებით თავს არც ახლა შეგაწყვეთ.

ის ის იყო მე ჩამოვდგი ცეცხლიდან მოჩუხჩუხე ქვაბი ინდურის საცივისა და გავაღე სამზარეულოს კარები, რომ აუტანელი ჰაერი ძმრისა და წიწაკის სუნით გაჟღერთილი ცოტად შენელებულიყო, რომ აივანზე გერასიმე ამოვიდა ერთობ დღვრემილი და გაბრაზებული.

— რა მოხდა, კაცო?

— რა მოხდა და მათი მათრახი შეხედე აბა, განა ეს პურია?

— ექვე!.. კაცო რატომ გუშინდელივით წითელი არ წამოიღე?

— თუ ემოვებოდეს კი წამოიღებ შენმა მზემ.

— რა გაეწყობა. გუშინ „საქართველოს“ მიმოხილველი ომის გათავებაზე სწერდა. ალბათ ამ ერთ თვეში გათავდება.

— ერთ თვეს თუ ასეთი პური ვკამეთ ჩვენი კუჭის ნაშთიც აღარ დარჩება.

— ეგ არის და! აბა რა ვქნათ. უკმელი ხომ ვერ დავრჩებით. ამდენი რა წამოვიღია რათ გინდოდ?

— რალა ამდენია, კაცო, სამი გირვანქა არის.

— ჰაი გიდი თეთრო პურო! სამი გირვანქა მარტო შენ გინდოდა.

— გახსოვს შარშან რა დროება იყო?

— ვა! მახსოვს რა ძველი ამბავი ისა გვონია?!

საერთაშორისო ომს სამი წლის იუბილე შეუსრულდა. ყველაფერს ფასი დაედო, გარდა ადამიანის სიცოცხლისა. ათასი მოქალაქე გამდიდრდა ტყეშლითა და ლობოს ჰოდრიადებით. ათასი ახალი სიტყვა შემოვიდა სახალხო ხმარებაში. ყველაზე მეტი პოპულიარობა სიტყვა „საეკულაციამ“ მოიპოვა. მთელი სიმდიდრე მიწაში ჩაიმაჩრა.

— ეგრე ნუ ქამ, კაცო, გასტებე და ჩაშხედე შიგ, შემნიშნა გერასიმენ.

— ჩავხელო რა ოქრო—ვერცხლს არვინ ჩაწყობდა.

— ოქრო ვერცხლს არ ჩაწყობდენ, მაგრამ ჯობი, მწვარი, ლურსმნები და სხვა და სხვა მანვე მწერები კი უხვათ არის. აი შეხედე?

გერასიმემ გამომიწოდა ტალახის მავარი პურის ნატეხი, რომელშიაც მძიმე ტახჯავსა და მწუხარებაში ჩამცხვარიყო სრულიად ნორჩი თავისი ბაბაღა.

— აი რა უღროთთ მოუკლავთ ეს უხედური! მწუხარებით წარმოსთქვა გერასიმემ და ნაჭერი განზე გადასლა.

— მაგას კიდევ არაფერი უშავს; სიამაყით შევნიშნე მე, საქმე აი ეს არის! და გაუწოდე მე-გობარს ჩემი აღმოჩენილი სათვალის ნატეხი შეშა,



1936 წლის

რომელიც ბროლივით ეღვარება შავი პურის სიყვარულზე.

— ჰოდა, აი ამიტომ გეუბნები თვალ—ყური აღდევნე მეთქი, მზრუნველობით მომივო გერასიმე.

— სათვალეები ამ მამაცხონებულს შიგ ჩაუყრიდა და როგორ უნდა ვადგენო თვალ—ყური, ხვალ ამდენს ნულა მოიტან. ხომ ხედავ დაგვრჩა.

— კი მოიტან თუ მოგცემდენ. დღეს ორი გირვანქა დიდის ხათრით მომცეს.

— ორი გირვანქა ორ კაცს?

— ასეა. ხვალღიდან პური ბარათებით იქნება.

— ბარათით იყოს.

— კი მაგრამ იქ რაც გიწერია იმაზე მეტს არ მოგცემენ.

— შეტი ჩააწერიე, კაცო.

— შენა ნება რომ იყოს კარგი დაგემართოს, მაგრამ მელიტონ რუსია ამ ქუჩაზე არ არის.



ბარათის სისტემასაც შეეჩვიეთ. მელიტონ რუსიას სახელ გვარმა პირდაპირ თვალეები ამისიორა. ველოწად ნახევარია გერასიმეს კუჭი არ უხსენებია. „გაპივრება მიჩვენე, გაქცევის გირჩენებო“ უთქვამს ვიღაცა მზდალს. ჩვენი კუჭები თითქო შევიდნენ ჩვენს შიშში მღვრამარეობაში. განსაკვივრებელი თავდაღებულობით ეგუებთან ვარემუ პირობებს. რას მიქვია მიზნებიანობა და საყვედურები! არა თუ ზურის ფერსა და ღირსებას, მის რაოდენობასაც აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ. სხედან წყნარათ, მშვიდად წმინდა ქრისტიანობრივი სულგრძელობით და მოთმინებით აღტურვილნი. ყველაფერს ვიფიქრებდით, წარმოიდგინეთ იმასაც, რომ ომი სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ თუ ჩვენი კუჭები ასეთ სიმტკიცეს გამოიჩინდნენ, ეს ჩვენთვის ყოველად შიუწვდომელი იყო.

— დღეს თითო კაცს 3/4 გირვანქა პურს აძლევენ განაცხადა გერასიმემ ორშაბათ დილით და დიდის მოკრძალებითა გახსნა სათუთად შეხვეული პატარა ნაჭერი პურისა.

— ეს რამდენია?

— გირვანქა ნახევარი, ჩვენ ორის ულუფაა. გერასიმემ პური თეთრ ქალაღზე დასდო, თითქო ამით სურს განსაკუთრებული მისი სიწვევა მოაჩინოსო, სწორეთ შუაზე დაადო დანა და გა-

სტრა ისე, რომ ერთი პატარა ნაჭერიც გაღვარდნილა.

— აიღე რომელიც გინდა!

— სულ ერთია ჩემთვის. შენ აირჩიე და აიღე. მე ვიცი, რომ გერასიმე ცოტა მორცხვი კაცია და უდიდეს ნაჭერს არასოდეს არ აიღებს, ასეც მოხდა. დარწმუნებული ვარ ჩემი წილი ორი მისხალით უფროსი მაინც იქნებოდა.



— პურის საქმე ვერ არის კარგათ! დარბიული კილოთი მითხრა გერასიმემ.

— მოუკლეს?

— მოკლება არაფერია სულ თუ არ მოისპო.

— რატომ, კაცო?

— ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს ერთ-მანეთში შეტაკება აქვთ.

— მერე?

— მერმე და ჩხუბია.

— მერე?

— მერე და მერე. ვერ გაიგე, რომ გზები შეიკრა?

— დღეს რამდენს აძლევენ?

— დღეს გირვანქის სამი მერვედია სულზე და ხვალ ორი შეცამეტელი იქნება მგონი.

— გაუძლებთ. რესპუბლიკები ომს აღბათს ამ თვეში მაინც გაათავებენ.

— სამში როგორ არ გაათავებენ.



მას შემდეგ შეცამეტე დღე მიდის, პურის ულუფა მ მისხლამდე დავიდა. არა თუ თავს, კუჭსაც მშვენიერათ ვგრძნობთ. გერასიმე, როგორც წვერი სასურსათო დაწესებულებისა, ხშირათ მანუგეშებს ხოლმე სხვა და სხვა არა საიმედო ხნებით, ომის გათავების შესახებ უსაქმურთაგან ვაგრცლებულით. მან ა იცს, რომ ეს იმედი ჩემთვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ვინაიდან ჩემი ოცნება სულ წინააღმდეგს, სახელდობრ ომის გაგრძელებას მოითხოვს. ჩემს საიდუმლოს არა თუ მას, თითქმის ჩემს თავსაც ვუშვლიადი დღემდე. დღეს კი დასამალი აღარაფერი მაქვს. არა მგონია ამ ორ—სამ დღეში ისე შეიცვალოს ვარემოება, რომ მან ავნოს რაიმე ჩემს ოცნებას.

დღეს ოთხშაბათია. ჩვენ ორი მისხალი პურით დაგვამაყდილდით. ზუთშაბათს ერთი მისხალი გვერ-



გება, ხოლო პარასკევს სრულიად ავიღებთ ხელს პურის ქამაზე. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამას ჩვენ მოვახერხებთ და სავსებით გადავერყვეით ქამას. იმ უზომო ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, რასაც საზოგადოთ ქამა-სმა იწვევს, მარტო ის რათ ეღირება, რომ ამ აუტანელ სიცოცხლეში ჩვენ იძულებული არ ვიქნებით ფურნის წინ გაქიბულ კულუმბში ერთი საათის მავიერობა გავსწოთ.

თუ თანდათანობით განვითარებას ბუნებაში რაიმე მნიშვნელობა და საფუძველი აქვს, ყოველივე ბევს გარეშეა ჩვენც უნდა გადავიჩვიოთ ამ უმსგავსო ჩვეულებას.

ეშმაკი.

ეშმაკის დეკრეტი

დეკრეტი № 8

ერა ჩვენი, ძენი ჯოჯოხეთისანი, დაყოფილ არიან წოდებებით, არიან გლეხნი, აზნაურნი და თავადნი, ისტორიული შოგალეობა გვაძიულებს ჩვენ შოგსნათ ეს წოდებრთა სხვადასხვაობა ერისა ჩვენისა და სწორ ვქმნათ ისინი. მისა გამო ვცნადებთ ცნობად უოველთა, მოსწობილ აქმნას წოდებთა სხვადასხვაობა და ებოძოს უოველთა შოქაქაქეთ თავდაობა.

ეშმაკი

არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, თუ რა დღი მნიშვნელობა აქვს წოდებთა მოსწობასი არა ერთი და ორი სახელმწიფო მოღვაწე ცდილობდა ეს აქტი მოეხდინა თავისს საბრძანებელში, მაგრამ დღემდე ბევრს არ გაუღიმა ბედმა. მის განხორციელებას უშთავრესად ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ ამ ყოველად სასარგებლო აქტის გამოცხადების შემდეგ ყოველთვის რჩებოდა ერთი უმაღლური მხარე. უმაღლურთა რაზმს რასაკვირველია წარჩინებულნი წოდებანი წარმოადგენდნენ, რაც ხშირათ იწვევდა სამოქალაქო ომს. ამისი მავალითი თქვენ თუ არ გახსოვთ ისტორიას მოპკიხებთ. იმან იცის რამდენიც განებათ.

ამხ. ეშმაკმა აქაც ბრძნულით განსაჯა და უკმაყოფილებს გამოცხადება, ვისგანაც უნდა

იყოს შეუძლებელ ჰყო. იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი ღვეწლი მიუძღვის, უნდა იქნას ჩვეოლიუციაში, წარმარტებაც იმზომ მიანიქა

ა) თავადებს არაფერი გაუკეთებიათ, ამიტომ მათ არაფერი აღარ მისცა.

ა) აზნაურები ცოტა რაღაცას მაინც აკეთებდნენ; ამიტომ ერთი საფეხურით ასწია და თავადებს გაუთანასწორა.

გ) გლეხები, როგორც უშთავრესი მამოძრავებელი ძალა და ბურჯი რევოლიუციისა ორი საფეხურით აღამალა და გაუთანასწორა თავადებს.

ამგვართ, ჯოჯოხეთში დღეს არსებობს ერთადერთი წოდება თავადობა. არავის არაფერი არ დაუკარგავს და თანასწორობა კი დამყარდა.

დეკრეტი № 9

„ენიდან ჩემდამო რწმუნებულ სამთავროს გაჭრ-მრეწველთა თავგასულობას სსხვაგან არ უნანს.

ენიდან ცხოვრება დღითი დღე გასაჭირი სხვადასხვად სისიმოვნება აკლდება;

ენიდან ქრთამათა და ნათლი მამობით არა ერთი და ორი მოქალაქე სარგებლობს და

ენიდან ამისი კვლეუ უუწრადლებით დატოვება ჩვენი ტულებობის გამოსატყვეო იქნებოდა კეთილ ვინებეთ და ვბრძანეთ:

გაივიდოს:

| | | | | |
|---|----|--------|-------|------|
| 1) თეთრი ბური | 1 | გირ. | 3 1/2 | კაზ. |
| 2) სორცი ცხვრისა | 1 | „ | 5 | „ |
| 3) „ ძრთხისა | 1 | „ | 3 | „ |
| 4) „ ღორისა | 1 | „ | 4 | „ |
| 5) ზუთისა | 11 | „ | 1 | „ |
| 6) ლაქო | 1 | „ | 7 | „ |
| 7) ხიზილავა | 1 | „ | 60 | „ |
| 8) ვეელი ქართული | 1 | „ | 9 | „ |
| 9) „ შევიცარული | 1 | „ | 12 | „ |
| 10) კარაქი | 1 | „ | 11 | „ |
| 12) ინდურა | 1 | ცალი | 25 | „ |
| 13) ქათამი | 1 | „ | 17 | „ |
| 14) ბატი | 1 | „ | 15 | „ |
| 15) კოჭი | 1 | „ | 40 | „ |
| 16) წეჭეტი | 1 | წვეილი | 4 | შან. |
| 17) ფესხანგულა ქალისა მადლ ქულისანი და მადლ ვედიანი | 1 | წვეილი | 7 | შან. |

| | | |
|-----------------------------|-----------|---------|
| 18) კასტიუმი ინგლისური მატ. | სიზაფხულ. | |
| კაცისა | | 13 შან. |
| 19) იკოვე ქალისა | | 7 " |
| 20) სასამთრა კასტ. | მაღლთით | 17 " |
| 21) შუშა რტხლისა | 1 სკაენი | 5 " |
| 22) " წიფელისა | 1 " | 3 " |
| 23) მჭარი | | |
| 24) ღვინო | უფასოთ. | |
| 25) საფთა | | |

და სხვა სანაფაგე შესაფერად ამის.

ეშმაკი.

წიკითხეთ და დასტკბით. დასტკბით არა იმით რომ ხვალდან შეგეძლებათ ყოველივე საქირო სანოვანე ხელსაყრელ ფასებში დავეთხოთ, არამედ დასტკბით იმიტით, რომ გაიგეთ თუ როგორი მამობრივი მზრუნველობით ილწვის თქვენს შესახებ საღმერთებელი ჩენი დიქტატორი ამხ. ეშმაკი, რა გამოჩნდა მის შორს მჭერეტელ თვალებს? მხოლოდ სპიჩკა, მარილი და საპონი. დანარჩენი ყველაფერი უკვე თქვენ ხელთ არის, ვინაიდან მის მიერ ჩვენდა საბედნიეროთ დაწესებულია ეს შესანიშნავი სოციალისტური ნიხრი.

ჩენი სასურსათო კომიტეტები ერთობ უზურხულ მდგომარეობაში ჩაცვივიან, როცა ამხანაგი დიქტატორის მეცხრეს წაიკითხავენ, მაგრამ არა უშავს: უმჯობესია რამოდენიმე ჯგუფის კეთილდღეობა დაირღვეს, ვიდრე მთელი ერის. სასურსათო დეკრეტი ეს დეკრეტთა დეკრეტია და მისი ბადალი ჯერ ქვეყნიერობას არაა ახსოვს.

დეკრეტი № 10

ვინაიდან საგრძნობლად გასჭირდა ხურდა ფულის და აგრეთვე ვოფელკვარი ქაღალდის ფულის შოვნა, ხოლო ეს ტარშიკაბა კი აფერხეს ვაჭრობა მრეწველობის საქმეს, საჭიროდ ვსტან ვოჯახეთის ვოფელუ მუხამა, სადაც კი იშოვება საბეჭდი მანქანა, გამოსტყეს საყოთარი ქაღალდის ფულა ვისაც, რამდენი უნდა. საქმის განსადავლებათ შეიძლება გაკეთდეს უბრალო ბეჭდები (კინდა სპონისა) და იმით დაიბეჭდოს. ეს უკანასკნელი საშუალება სულმისწვდომი იქნება უმთავრესად კერძო ოჯახებისათვის.

ეშმაკი.

ფინანსიურ უძღურებას და არეგ-დარევის დადიდან ბოლო ედება. ყოველ მოქალაქეს უფლებება ეძლევა ზე ის ის ფულები

რა ღირსებისაც და რამდენიც უნდა მანა ვითარი შევიწროება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის. ამით რასაკერვრელია ისპობა ძირითადი საკითხი მდიდრებისა და ღარიბების შესახებ. ყველას შეუძლია დაბეჭდოს მილიონების ქალაღლი და ამ რიგით უზუნდელკოც თაფისი ცხოვრების მატერიალური მხარე.

რაც დღე მოდის, მით უფრო და უფრო მეტი ყურადღების დეკრეტებს მიაწვდის ხალხს პატივცემული ამხანაგი ეშმაკი, თუ რასეკვირვულია დამფუძნებელმა კრებამ მომავალში ხელი არ შეუშალო მის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

დეკრეტი № 11

ხალხის კეთილდღეობა ვალად მდებს ყურადღება მივაპყრო სახელმწიფოში არსებულ "კულებს" და აღვკვეთო მათი არსებობა, ვინაიდან:

- ა) "კულებში" დგომით ხალხი იღლება.
- ბ) ცივდება და
- გ) კონტრ-რევოლუციონერდება.

ამიტომ, რათა სრულიად აღმოიფხვრას მოქალაქეთა მცხსიერებიდან სახელი ამ არანორმალურ მოვლენისა, ვაცხადებ:

- 1) მოისპოს ადამიანთა მიერ შექმნილი "კულები" ყიველგვარ დაწესებულებათა წინაშე.
- 2) მოეჭრას კულები ყველა შინაურსა და გარეულ კუდიან ცხოველებს.
- 3) დატყვევებულ იქმნას ის პირნი, რომელნიც სხვათა კულებით ითვლებიან.
- 4) აეკრძალო მჭკრივთა ქუჩაში სიარული ინსტიტუტებს, საღათებს და ზეცაში ამგვარივე ფრენა წეროებს.
- 5) წინადადება მიეცეს ასტრონომებს, რათა არ შამოლუზან პლანეტთა ჩვენს სისტემაში რომელიმე კუდიანი ვარსკვლავი.

ეშმაკი.

აი დეკრეტი! აი დეკრეტი განსაცვიფრებელის გულდასმით და სამართლიანობით დამუშავებელი, ვის გულს არ ესალბუნოს თითოეული იმისი სიტყვა, თითოეული იმისი მუხლი? დეკრეტები მრავლის უმრავლესი იწერება, მაგრამ ვგზომ სრული, ვგზომ სალი და ყოველმხრივად უნაკლულო ჯერ არავის მოსწრია.

ისტორიკოსი.

ამიერ-კავკ. ქალაქთა კავშირი.

ამ ორიოდ დღის წინათ (1 დეკემბერი) თფილისის მოურავმა ნიკო ელიაშვილმა გახსნა ამიერ-კავკასიის ქალაქთა მოურავების დამფუძნებელი კრება. დემოკრატიული თავები ჩვენი ქალაქებისა ერთობ სასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. მარცხენა მხარე კრებისა უჭირავს უფრო დემოკრატიულ ნაწილს. აქ დაინახავთ ბუმბერაზ თავს პატარა გორისას, სერგოს რობაქიძეს; მშენებლის წვერით გულ, დაფენილს მშვიდსა და მომღი-



კონსტანტინე საბახაშვილი.
(ბათუმის ქალაქის მოურავი)

წარმომადგენლებს. თავმჯდომარეობს კრებას ნიკო ელიაშვილი, რამოდენიმე ამხანაგითურთ.
(დაწვრილებით შემდეგ.)



დიმიტრი კალანდარიშვილი.
(ქუთაისის ქალაქის მოურავი)

შარ თავს ქალაქი ქუთაისისას. წარბ აყრილსა და ოღნავე ცხვირ მოზნეკილ სოხუმის მოურავს ბენია ჩიკვიშვილს; წყნარსა და მორცხე ფოთის თავს დათიკო ონიაშვილს; შავ უღლავს გადაგრეხილ ბათუმის თავს კოწია საბახაშვილს. და აგრეთვე სხვა მრავალი.

მარჯვენა მხარე უჭირავთ სოციალისტ რევოლუციონერთ, დაშაკ ციუტუნებს და მუსულმანთა



არშაკ ბაბოვი.
(სომეხ მანჩაქისტთა ლიდერი)

ქართული ეროვნული ყრილობა



ნახატი შ. ქაქოსისა. (იგინის) ნახატი ეშმაკისა. (არ იგინის).
აკაკი ხოშტარია.

(ერთი უწარჩინებულესი ქართველ მრეწველთა შორის.)

ამიერ კავკასიის კომისარიატი.


„ეშმაკის მათრახის“ მკითხველნი ერთობ განცვიფრებულნი იქნებიან, როცა აღგიღობრივ ყოველდღიურ გაზეთებში წაიკითხავენ დეკრეტებს სხვა და სხვა საჭირო, მაგრამ ეშმაკისა და ლენინისაგან უკვე მოგვარებულ საკითხთა შესახებ, რომელსაც ხელს აწერს „ამიერ კავკასიის კომისარიატი“.

— ნეტავ თუ ვინ არის ეგ კომისარიატი? იფიქრებს ჩვენი მკითხველი და ამ დაფიქრებისათვის ჩვენი რედაქცია ბოდიშს იხდის მას წინაშე.

მიზეზი ბოდიშისა ის გახლავთ, რომ ჩვენ დროზე ვერ გავაცანიეთ ეს ახალი დაწესებულება, რომლის ცნობა დიხაც საეაღდებულოა ყველასათვის.

„ამიერკავკასიის კომისარიატი“ დაიბადა მას შემდეგ, რაც რუსეთი ბალშევიკებმა აიღეს, ხოლო დონი და ყუბანი ყაზახ რუსებმა. დაიბადა ის სრულიად მოულოდნელათ, ზუბალოვის სახელობის სახალხო სასლში. დიმიტრი დონსკოი, რომელმაც ითავა მისი პეტიოზა უკვე ისტორიულ პიროვნებათ იქცა. მოხსენება იმისი ერთხმად იქნა მოწონებული ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან, წარმომადგენლებსაგან, გარდა ბოლშევიკებისა.

მათი სახელით ილაპარაკა მიხა ცხაკაიძე და



მიხა ცხაკაია.


(თფილისის ბალშევიკთა ლიდერი)

კონტრ რევოლიუციონურ დაწესებულებათ აღიარა იგი.

სოციალისტ რევოლიუციონერთა მხრით ტყილ სიტყვა წარმოსთქვა ლუნკევიჩმა და ილია ქარცივაძემ. ორივე ორატორი, იცავდა ამიერ კავკასიის გამოყოფას.



ბ-ნი ლუნკევიჩი.



ერთი დიპლომატთაგანი.

(რომელიც ღრმა ჩაფიქრებით უცქეროდა ორატორებს და ალბათ ფიქრობდა: — დასწყევლოს ღმერთმა, ერთი თავსატეხი ქვეყანა კიდევ გავვიჩნდეთ.)



ილია პარცივაძე.

ქართული
კომუნისტური
პარტია



სამხედრო ლოფა.

მარჯვნივ ზის ფრონტის მთავარსარდალი გენერ. პრეველსკი. შვანზე ორი სხვა სამხედრო პირი, ხოლო მარცხნივ ორი წვერი ყოფილი „ოზაკომისა“.)

კრებას დაესწრენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და აგრეთვე სამხედრო მთავრობა ამიერკავკასიისა.

დასასრულ კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, ერთხმად მიიღო მოხსენების საფუძველი და აი ამ საფუძველზე, შემდგომად

რამოდენიმე დღისა აღმოცენდა ადგილობრივი, ამიერკავკასიის მთავრობა, ანუ კომისარიატი.

კომისარიატის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ევგენი გეგეჰკორი, აი ეს კომისარიატია, რომელიც ამხ. ეშპეკს ეცილება დეკრეტების ცემაში. ვნახოთ!*)

კოლო.

სახსრბელები

I

სადაც კრუხ-წიწილთ დაიგულებენ, იქ სადავლოთ ჰფრენენ ქორები და იქ-კი, სადაც მუშა ხალხია, თავს მოიყრიან მუქთა ხორები.

მაგრამ რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცით, ხალხს თუ საღი აქვს ჭკუა-გონება, მაშინ ძნელათ, თუ ხელში ჩაივდონ მუქთა-ხორებმა მათი ქონება.

ამიტომ მეფე მუდამ სცილობდა, რომ აეცდინა ესე სიძნელე და დაივალო სამღვდლოებას რომ შეეტანათ ხალხში სიბნელე, რომ მღვდლების სიტყვებს უფრო ჰქონოდა რიხიანობა და მეტი ძალა, სულ მუდამ ღმერთი ეკერათ პირზე (ეს იყო მათი მძლავრი მასალა!)

*) რაღა ვნახოთ! სამწუხაროთ ჩვენ იძულებული ვართ შევსწავართ არსებობას, ხოლო იგინი რჩებან! ისტორიკოსი.

რაც თვითონ სურდა, მას ჰქადაგებდნენ ისე კი ვითომც ეს ღმერთს ებრძანოს; მეფე ვითომც ღმერთს ეკუთხებინოს და ხალხის მამათ გამოეგზავნოს.

ყველგან: შინ, გარეთ, თვით საყდრებშიაც მღვდლებს მეფის ქება უყვარდათ ხშირი... ხალხს ისეთ აზრებს ასმენდნენ, — თითქოს მეფეს ჰქონოდა ღმერთთან კავშირი.

და რასაც მეფე ხალხს უბძანებდა ვითომც ყველა ეს თვით ღმერთს ნებავდა, მით სარწმუნოდნენ მუქთა ხორებით, სულ მათ მიჰქონდათ, რაც ხალხს ებადა.

და ამგვარ ხერხით გატყვებულ ხალხს ძლიერ-ძლივს-და სული კბილით ევირა მაგრამ აქ მღვდლები მიჩენილ-იყვენ, რომ ხალხს სიმწვაფით არ დაეყვირა.

და რომ სიჩუმით გადაეტანა ეს სიღარიბე და ვასაჰირი, მღვდლები ხალხს „წამალს“ მიაწოდებდნენ და ეს „წამალი“ არც იყო ძვირი.

ძვირი არ იყო, რადგან ის მხოლოდ ლიტონ სიტყვებში იხატებოდა: ვითომც სამოთხეს დაიკვიდრებდა, — ღარიბ-ღატაკათ ვინც მოკვდებოდა.

და შიღიარი კი სასუფეველში შესვლას ძნელათ თუ ელირსებოდა, სწორეთ იმ გვართ, როგორც აქლემი ნემსისა ყურწში ვერ გაძვრებოდა.

და ამაეზის მზგავსს ქადაგებას მღვდლებისგან ხალხი მრავლათ ისმენდა და სიღარიბეს შიმშილს, სიტყტელეს ძირს ქედ-წახრილი დიდხანს იომენდა...

II

ბოლოს ძლივს ხალხმა აღლო აულო სამღვდლოების დაგებულ მახეს, რომ „მტყუანს მიეყვით თვით კარებამდე“ აწ-კი დროაო! — წამოიძახეს.

აბა, გავინჯოთ, თუ მართალია, — სამღვდლოება რასაც ჰქადაგებს:

— თუ მართლა მდიდრებს წაწყენდა ელისი და ცხონება კი ღარიბ-ღატაკებს; —

მაშ, აბა თვითონ სამღვდლოებას სულ სიმდიდრეში რათ უყვარს ცურვა?

თუ კი სიმდიდრე წაწყენილია მან კი სიმდიდრე რისთვის ისურვებ?

ან თვითონ მეფე რისთვის მდიდრდება, რატომ წაწყენდის არ ერიდება, ჩვენგან წანალექ იმ მილოინებს თავის ბანკებში რათ ეზიდება?!

რათ სთელიან მეფეს ღვთისგან ნაკურთხათ? ან თუ იგი ღმერთს გამოეგზავნოს, — ნუ თუ მეფისთვის ხალხის დარბევა და ტყავის ძრობა თვით ღმერთს ებრძანოს?!

რასაც კი მღვდლები ჩაგვიჩინებენ, — თუ გვეგონება ყველა მართალი, ამით ღმერთს როგორ შეგვაყვარებენ, აბა, აქ სად სწანს ღვთის სამართალი?!

და ან თუ მეფე ხალხის მამა, — მამა ხომ ვიცით, რომ თავის შვილებს ერთგვართ უვლის და ქონებასაც ყველას თანასწორ გაუნაწილებს.

ახლა გავინჯოთ მღვდლების სიმართლე: მამობს მეფე რა გვართ გვიწვეს? შეწვევის ნაცვლათ ჩვენს ნაშრომს გეტაცებს მძარცველთა ჭროვას ყოველ მხრივ გვისცეს.

თუ მეფე იყოს სუყველას მამა, — მისი ბრძანებით ასე რათ ხდება, ვინც სულ უქმით ზის, ის მაძღარი, ვინც დღე-ღამე შრომობს, — შიმშილით კვდება?!

არ გვინდა მეფე, არც მის „მამობა“! კმარა შრომა, კმარა შიმშილი; მშებო აღსდევით, მტრებს შეგმობდით, ან განმარჯვება და ან სიკვდილი!

სთქვებს და ეკვეთენ მუქთა ხორა მტრებს და ხადაც ძალით ვერ გაუმკლავდნენ, ხალხის გმობება იქ ხერხს მიმართეს: დიდსა მტარვალებს ჩუმ-ჩუმათ ჰქლავდნენ.

მშრომელი ხალხის გამოსაჩრლებას თავი შესწირა მრავალმა გმირმა; ვერ შეაშინა ციხემ, კარტორღამ, ვერც სახრჩობელამ, ვერცა ციხიბრმა.

III

აგერ, სამხედრო გასამართლება ელის ვეყაცისა აიყად მდგარას;



მსაჯულთ სიტყვებზე და მათ კითხვებზე
სდუმს და არ ამხელს სახელს და გვარს.

არც ამხელს იგი მის ამხანაგებს,
თუმცა უბძანეს მათი გაცემა;
თუმც მრავალ გვარათ სტუქსეს დასტანჯეს,
ვერ შესძლეს მისი სულით დაცემა,

რადგან საჩქაროთ მის ჩამოღრჩობას
იქვე ბრძანებდა სამხედრო წესი,—
ჩამოხიზობის წინ „საზიარებლათ“
მსწრაფლ საიდგანლაკ გაჩნდა ხუცესი.

შვარამ ხუცესიც ვერაფერს გახდა;
თუმც საპირფერო მისცა კითხვები,
გმირმა-კი აქ-მღვდელს მწარე დაცინვით
შესაფერისი ჰკადრა სიტყვები.

— შეილო, სწორა სჯობს სთქვა აღსარება,
რომ სულიც სწორა ამოვივიდეს;
რადგან ღმერთმა ის სწორა შთაგებრა,—
ღმერთთანვე სწორა უნდა მივიდეს.

— მღვდელი, თუ მართლა ჩემ სულზე
ზრუნავ;

ამაზე მოგცემთ მე რჩევას ერთსა:
თუ ჩემი ზული ღვთის სულათა გრწამსთ,
გსურთ ისევე სწორა ჩაბარდეს ღმერთსა,—
თოკს ნუ წამიჭერთ ყელში, თორემ იქ,
პირისაკენ სულს გზა შეიკვრება,

.....

როცა კანონით კაცს სიკვდილს უწყვეტთ,—
ნუ თუ არ არის თქვენთვის სულ ერთი;
დახბრჩობის ნაცვლათ სხვა გვარათ მოპ-
კლათ:

ტყვია იხმაროთ, თუნდ თავ-საკვეთი?!
და რაკი ახრჩობთ, — განგებ სნადიხართ:
მით სულს წაბილწავთ და შეურაცხჰყობთ.
ზიარებით კი, ამავე სულზე,
რომ თქვენ ზრუნავდეთ, ვერაფრით გატყობთ!..
იქნებ სთქვათ: ხორცს რგებს ზიარებოა.
სტყუვით და სტყუვით მით უარესათ,—
აქ ხორცზე ზრუნვა საიდანა სჩანს,
როცა მას აქცევთ მძორათ და ღეშათ?!
მაშ რას თვალთმაქცობთ? დღეს თქვენ ვისა
სთვლით

ისე ბრაცვათ და ისე უქკულოთ,
თქვენს ბილწ სურვილებს „ღვთიურ წესს“ არ-
ქმევთ,—

ამით გსურთ ხალხი **გაუფრთხილეთ!**
ხალხს უწინდულთ აღარა სძინავს;
ის შურს იძიებს: მტარვალთ შემუსრავს,
ის თქვენს მზავრობას კარგათა ჰხედავს
და თავის ზედს კი თვით გამოსტედავს.
მაგრამ ვაჰ-ჰე, რომ მათთან არ მაცლით
დავრჩე, მეც ვიგრძნოა შევბა და ღებნა;
მხბრჩობთ და მგზავნით „იმ ქვეყნისაკენ“,
რომელიც თვითონ არა გრწამთ თქვენსა!..

V

გათენდა დილა ბურუსიანი,
ძალზე ჰყინავდა,— იყო ზამთარი,—
სახბრჩობელაზე დაკიდებულ გვამს
აქანავენბადა გიემაცი ქარი.

გმირსა წამებულს გლოვობდა ხალხის
ხალხი თვით გმირის წარმოშობელი;
სახეზე ყველას ღრმათ აღბეჭკვოდა
შურის ძიება დაუნდობელი.

ქარი კი კვალად მძლავრად ზუოდა;
თითქოს გმირისთვის სწულხდა, ჰგოდებდა;
შურის ძიება! შურის ძიება!..
იგიც თითქოს ხალხს მოუწოდებდა...

ფონ-ტეფო.

ზ ა ტ ა რ ა ფ ე ლ ე ტ ო ნ ი .

რევოლიუცია.

რევოლიუციის საუკუნეში ვცხოვრობ და გუშინ-
დღამდე მე იგი არ მენახა.

წაიკითხეთ ბერი წამიკითხავს და დაწერთაც
ერთობ მრავალი დამიწერია შესახებ რევოლიუცისა.
მართალი მოგასვენოთ ნახვით არც გუშინ
მინახავს ის მირად სანატრელი რევოლიუცია. არ
მინახავს იმიტომ, რომ ჩემს ამხანაგებს ის ღამით
მოეხდინათ,

— კონსტანტინე შალიკიაშვილი (თუ გვარი არ
მეშლება) ყოველთვის ექვის თვალთ უყურებდა
ყველაფერს ღამით გაკეთებულს. ასე წარმოიდგინეთ
მაცხოვარის აღდგომაშვიც კი ექვი შეჭქონდა და
ამ თავის ექვს ასე ასაბუთებდა.

— ყმაწვილო, თუ ღმერთი იყო და ადგომა კი შეიძლო, რაღა შევლამებზე წამოდგა იგი მამაცხონებული? ავღებობდი დღე ათ—თერთმეტ საათზე დიდკაცურთა. ყველა დაინახავდა და კიდევაც დაუჯერებდა.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ვითომც 29 ნოემბრის რევოლიუციაში ეჭვი შემქონდეს. არა, მე მხოლოდ მეწყინა, რომ რევოლიუცია სწორედ იმ დროს მოახდინეს, როცა მე ღრმა ძილში ჩაფლული მშვენიერ სიხმრებს ვხედავდი. ეს ქეშმარიტათ სასაყვედუროა!

მაგრამ რევოლიუცია 30 ნოემბერსაც გაგარძელდა. მე პირდაპირ ვერ ვიცანი თფილისის ქუჩები: სრული თავისუფლება: არც ნაცნობი, აღარც უცნობი.

პირველს ტრამვაიშივე თავისუფალი ადგილი ვიშოვე და მთელი გზა ისე გავიარე, რომ მესუთე არავინ ჩამოგვჯდომია. სწორეთ ახირებული ამბავი მოხდა.

ჯერ კიდევ დილაა. აი რამოდენიმე ცნობის მოყვარე და თავგადადებული ახალგაზდა (ერთი იმათგანი ჯარისკაცია) მიმდგარან ღობის ქუჭრუტანასთან და არსენალისკენ იტყვიან. მართლა ეს ღობე ვერის დაღმართზეა, მაგრამ ტყვია აღმართსა და დაღმართს ხომ არ არჩევს.

— მოშორდი, ძმობილო, იმ ღობეს, რაიმე მარცხი არ მოხდეს. ტყვია მართალსა და მტყუანს როდი არჩევს. შენიშნა ერთმა ამვლელმა და ცალი თვალით თითონაც გაიხედა მეორე ქუჭრუტანიდან.

გასაოცარი ხალხია! მართლაც იქ არიან მიჩნერბული საღც ფიცარსა და ფიცარს შუა ქუჭრუტანა დატოვებული. ტყვია რა გამოვიარდეს სწორეთ შიგ თვალში სოხვდება და სათვალეს ჩააშტერებს. მე შენ გითხრა თუ ახალი სათვალე იშოვე, იაფად არ იშოვო!

გოლოვინის პროსპექტზე სიცოცხლე სდულს და გადმოსდულს. აი აქ—აი იქ, მარჯვნით და მარცხნით სდგას მოქალაქეთა ჯგუფები და მსჯელობენ მომენტის შესახებ, ვიდრე მათ მილიციონერი არ გაჰფანტავს. ქუჩის კუთხეებიდან კვლავ არსენალს გამჟურებენ.

დიდებული სანახაობაა! სამხედრო ქუჩაზე ბარიკადაა გადაქიმული. ფოსტა—ტელეგრაფს იცავენ. ქუჩის არღ—გარღმო ორი ყუთი სდგას და

შიგ რაღაცა ჰყრა. ავტომობილი ავტომობილს მისდევს. ზოგი აღმა აღის, ზოგი ზვედან დაღმა ეშვება. შიგ სულ სამხედრო პირები სხედან და თოფები მშვენიერათ გადმოუწყვიათ. თითოეულ მთვანას სახეზე გვირული ვაბეღულუმბისა და სიღინჯის ბეჭედი აზის. ზოგიერთს რევოლვერიც ხელში უჭირავს და პატრონებით მკერდი მოუქარავას.

აი ერთი ჯგუფი ჩვეულებრივი პატიოსანი ხალხისა. მე ესენი არასოდეს ამ მდგომარეობაში არ შინახავს. მხარზე თოფები უწყვიათ და სასახლეკენ მიეშურებიან.

— შეხედ, ლაღო, შეხედე აი წითელი გვარღია მიღის... ჩასძახა ვიღაც მოქალქემ მეორეს.

მე განცვიფრებული დავჩიი. ნეტავ რისთვის ჰქვია ამათ „წითელი გვარღია“, როცა რომ არც გვარღიასა ჰგავს და არც წითლად აცვია.

სასახლის მოედანი გაკრულია. ქეშმარიტათ სასახლის შეხედულობა ახლა აქვს ამ ყვითელსა და უზარმაზარ შენობას. რიგი ავტომობილებისა მოღის, რიგი მიღის, სასახლეში მოწმობებით უშვებენ.

არსებითად რევოლიუცია უკვე ვათავებულა, მაგრამ ინერციულად მოძრაობა კვლავ სწარმოებს. განსაკუთრებით ეს ეტყობა ავტომობილებს. იმათ გაჩერება არც იმე ადვილია.

— გამოვიღენ... მდღობა ღმერთს, დაბოლოს ეშველა და გამოვიღენ... ამბობს ერთი მოხუცი.

— ვინ გამოვიღა, ძაჯან? ვეკითხები მე.

— ვინა და ზალშვეიკები, ჩემო კარგო.

— საიღან გამოვიღენ?

— არსენალიღანო, ამბობენ. მართალი არ ვიცი.

სხვების აზრით არსენალიღან მენშვეიკები გამოვიღენ და არა ზალშვეიკები. ერთი სიტყვით ნამღვლი რევოლიუციაა! არსენალი თურმე უსისხლოთ აიღეს; სწორეთ ისე, როგორც რთსეთის დიდ რევოლიუცია უსისხლოთ დაიწყა.

მთარეელი.



რას ნიშნავს ეს?

ქუთაისის გაზეთებს თუ დაუჯერებთ, ადგილო-ბრივ ახალგაზრდობას განუზრახავს გამართოს—**სოლომონ ზუარმილიძის** საღამო.

ჩვენ უნებლიეთ ვითხოვლობთ:

— ვინ არის ეგ ახალგაზრდობა, ან რამ აიძულა ისინი, რომ ნეტარსენებულ მგოსანს სამარეშიაც არ ასვენებენ?

ქეშმარიტად აღსრულდა მგოსნის თქმულება: „გამწიკე და გამომწიკე სამარეში ჩამარხულსო, შემარცხვენე შერცხვენის მაგრამ ფულს კი აიღებენ.“

მე იმედი მქონდა, რომ თუ ასეთ გაბედულ ნაბიჯს კი გადასდგამდა ქუთაისის პოეტური დემოკრატია, ჩვენს მხატვარს მ. ჭიაურელს, რომლის მადლიან კალამს ეკუთვნის მისი სახის ქალაღლზე გადატანის ბედნიერება, გვერდს არ აუხვევდენ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც იმედი არ გავევიმართლდა. დამსახურებული მხატვარი აღელვებულია იმ გარემოებით, რომ ქუთათურებს ჩვენი სათაყვანო მგოსანი სათვალეებით დაუხატავთ.

სოლომონ ზურგიელიძე და სათვალეები სი-რცხვილი მათ, ვინაც ეგზომ დაამაზინჯა ჩვენი წმინდათა წმინდა მგოსნის სახე, რაღაც შეუფერებელი ჭიქის ფირფიტების ცხვირზე ჩამოცმით. ოპუმეცარნო, იცით კი რასა შვებით? რაღას უტღით, ბარემ აიღეთ და ცილინდრიც დაახურეთ იმ ღირსეულ თავს, რომლისგანაც ამდენი წმინდა ეროვნული მარგალიტი აზრები წირმოიშვა, ჩვენ აღარც ეს გავვაკვირვებს. ქეშმარიტად, რომ მხოლოდ ქუთათურ მხატვრებს შეეძლოთ მგოსნის ასე აბუჩათ აგდება, მაგრამ გახსოვდეთ ვაგებატონებო, რომ ამითი თქვენ თქვენს თავს იწყებლავთ, ვინაიდან თქვენ იგივე სოლომონები ხართ, რასაკვირველია მცირე მასშტაბით.

ვფიქრობ, ვფიქრობ და ჯერაც ვერ მივმხდარვარ, თუ რისთვის დასჯირდა ამ ხალხს მიცვალებულის სცენაზე გამოყვანა და თუ მაინცა და მაინც ეს აუცილებელი იყო, რათ დაადგეს ცხვირზე სათვალეები, რათ? ვინც არ იცის, რომ სიკვდილის წინა დღეებშიაც სოლომონს განსაცვიფრებლათ

შორს მქვრეტელი თვალბეჭდვით სარტყელზე მწოლარემ შენიშნა შორს, ხის ტოტზე შემოძვარაი ორი ფრთოსანი და სთქვა:

„ორი მტრედა ჩემს ეზოში
შმაწ-შმაწათ დაარება
თუ შეტათ არ ეგებრადებით
აბა რადა გამოვად?“

და აი ამის დამწერს ქუთათური მხატვრები ურცხვად სათვალეებს უეცრებენ. დროა ვისწავლოთ ჩვენთა ძველთა სიყვარული და პატივისცემა, დროა.

მთელი რედაქცია „ეშმაკის მითარახისა“ უდიდეს პროტესტს აცხადებს და მოითხოვს დაუყონებლივ მოხსნილ იქმნას სათვალეები სოლომონ ზურგიელიძის ცხვირიდან, როგორც ბურჟუაზიული და შეუფერებელი სამკაული.

ეშმაკი.
მორიელი.
კოლა.
ისტორიკოსი.

კახეთიდან.

სოფელ ახმეტას წავიცი, მოგმართე ჩემი ნაღარა, იქ პური უნდა მყეოდნა, გავკვიბილიყავ ზამთარა. მაგრამ თქვენ მტრესა, იმათა სხვა სენი გადასდებიათ... პურს აღარავის ატანენ, ეს უგონობა რგებით, საწყალსა გლეხებს ეყიდათ კოლობით სამ-სამ თუმნათა (ნაკლები გადმოყვარეს დარღების განსაკურნათა) ავდექ, დავბრუნდი ქისტაურს... სოფელი არის ნაქები, მაგრამ იმათაც დამიწყეს. მკვახე მუქარა, ბაქები... ჩამოვიარე ოსებში, ყველა შემძვრალა ბოსელში, იქ ვიყიდვეი სიმინდი, ვსთქვი გავიტანო ოხერში, რა მოვატანე ხოდაშენს,

თქვენ მტერსა დაპირებთ...
 იქ დაზღვედნ კომისარები
 თავადნი: სანდრო, ილია,
 წამართვეს ჩემი სიმინდი,
 ყური არ უგდეს ხევწინასა.
 გამომისტუმრეს ცარიელ,
 ერთობას ვფიცავ ზღუასა.

წამოველნ გამწარებულნი,
 მუჭარითა და ბუღუნით.

ვიფიქრე: გულსა გავირობო.
 ბაპაროზით და თუთუნით.

კოპოპრატებს მივადექ
 ტირილითა და წუწუნით,

ვუთხარ: გიორგი, გენაცვა,
 უნდა გამმართო თუთუნით.

ფულსა ხო ფულათ აიღვე
 სიკეთეს გიძღვნი გუგუნით.

მითხარ: რაგიყო ძმაცო,
 ხედავ არ არის თუთუნი,

ასე დაიწყო გიორგიმ
 დიდი წყრომა და წუწუნი.

ვუთხარ: გიოგი ვეთავა
 ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს,

ხედავ რა დღეში ჩავარდი
 როგორ უღმერთით გამწირით;

ავღდექ, მივადექ იყალთოს,
 კანცეროლათა გენია.

თურმე ნუ იტყვი, იქაცა
 მწერლათ ყოფილა ღვედლია.

ვუთხარ: მამაო, გვაკურთხე,
 შენდობა, მომე ხელია,

მოგესხენებათ შიმშილი
 რა მწარე, რა რიგ ძნელია!

სოტა ბარათი მიბოძე
 სიმინდის ვაზოვო ფქვილია,

თორემ შიმშილმა გენაცვა
 გამიწყო წვრილი შეილია.

— თქვენი სამწერლო არ მახსოვს,
 ამ ლექსით მითხრა წერიმა...

ცუცხლუნად ნავით დამისხა
 უბედურ ბედისწერამა.

ჩამოვეცალე სულყველას,
 თავი ამოგყავ თელავსა,

შიმშილი გადაპკიდას
 დიდსა, პატარას, ყველასა...

აწ რაღა მეთქმის ბეჩავსა,
 სხვა გზა სადა მაქვს სავალი,

მეც აქ დავარჩები სად ჩემებრ
 მშვიერი ვნახე მრავალი.

ხეტუბუნელი

წამილი ეშმაკის მათრახი (ორმოცრთა).

ჩქიმი ჯიმა ოჩოკოჩი!

სენაკში არცერთი კომიტეტი არ დარჩენილა,
 რომ შენზე არ ქონოლდნ მსჯელობა, მაგრამ ეშმა-
 კის წყალობით ვერცერთმა ვერ მოახერხა შენი სა-
 წინააღმდეგო რეზოლუციის გამოტანა. შენი აქე-
 დან წასვლა ყველას ძლიერ ეწყინა, მაგრამ იმედია
 მალე განახვ. აქვთ ახალი არაფერია, ლაპარაკობენ
 — ძველს ახალი სჯობია!

ყრუაშვილს „ჩამოსქნებაში“ გასჭრა და ჩოხები
 თავის მალაზიაში დააწყო.

ლორები ისევ თავისუფლათ დათარეშებენ ქა-
 ლაქის ბაღში და კავალერ-ბარიზნები საღვურზე.

ღენო არ არის ქალაქში, მაგრამ მთვრალეები
 აუარებელია.

შეიძლება მანდ ვინმეს კალოში აკლდეს, გამო-
 გზანე აქეთ; ჩვენთან კალოშები აუარებელია.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩინებულათ
 ჩატარდა მთელ მაზრაში: გარდა ლუარსაბ თავდ-
 გირიძის მონათესებისა, ყველამ პირველ ნომერს
 მისცა ხმა.

ხმები, თითქო ბალშევიკებს აელოს სამეგრე-
 ლოს სატახტო ქალაქი — ზუგდიდი, სიმართლეს მოკ-
 ლებულთა. იქმშვიდობიანად განაგძობს ავტოკრის
 ჩვენი საყვარელი ამხანაგი ალექსანდრე ჩიქავა (თუ
 გახსოვს ეს ის ალექსანდრეა, რომელმაც პირველ
 ყრილობაზე საქმე გაუქირა ამხ. თავმჯდომარეს
 ნოე რამიშვილს. აქი შენ გინდოდა მისი მოხაზუ-
 ლების გადატანა და ვერ მოახწარი. იმდენათ სწრა-
 ფია იჯი.)

მცხოვრებთ დაურიგდათ ჩითყულების მისადები
 ბარათები, მაგრამ ჩითყულობა არ აღმოუჩნდათ
 მალაზიაში ვაჭრებს.

აკოცე ეშმაკს!

მარად შენი „ტყაშმაფა“.

„კინალამ დამივიწყა: ბეტრე და ნიკო ბალშე-
 ვიკებს მივებრენ, როგორც ისმის, მათ საბჭოს
 კრებაზე მოითხოვეს სასურსათო კომიტეტების გაუქ-
 მება და თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადება მხო-
 ლათ იმ საქონელზე, რომელიც შემოიღოს“.

ტ.